

ქ. ბათუმი

მარტი 2024 წ.

გ. Батуми
г

__марта 2025

ერთის მხრივ, შპს “ბათუმის ნავთობტერმინალი”, შემდგომში წოდებული როგორც “შემსრულებელი”, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის ფარხატ ტაშიბაევის სახით, და მეორეს წარმოდგენილი გენერალური დირექტორის სახით, რომელიც მოქმედებს წესდების საფუძველზე, შემდგომში წოდებული როგორც “დამკვეთი”, შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების საგანი

1.1. “შემსრულებელი” იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების №1 დანართის შესაბამისად “დამკვეთს” გაუწიოს ლაბორატორიული მომსახურება, ხოლო “დამკვეთი” იღებს ვალდებულებას მიიღოს შესრულებული სამუშაოები და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოახდინოს ანგარიშსწორება.

მუხლი 2

მხარეთა ვალდებულებები

2.1. “შემსრულებელი” ვალდებულია:

2.1.1. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა არსებული ძალებითა და საშუალებებით, დამტკიცებული სსიპ „საქართველოს აკრედიტაციის ერთიანი ორგანოს-აკრედიტაციის ცენტრის მიერ/

2.1.2. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დროულად, ხარისხიანად და პროფესიულ დონეზე

2.1.3. უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

2.1.4. დამკვეთის წერილობითი თანხმობის გარეშე არც ნაწილობრივ და არც სრულად არ მოხდეს მესამე პირზე ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობების მონაცემების გადაცემა.

2.2. “დამკვეთი” ვალდებულია:

2.2.1. “შემსრულებლისაგან” მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულება.

2.2.2. აუცილებლობის შემთხვევაში ხარისხის შემოწმების მიზნით დაესწროს ანალიზის ჩატარების პროცესს.

Статья 1

Предмет Договора

1.1. «Исполнитель» обязуется оказывать лабораторную услугу «Заказчику» в соответствии с Приложением №1 к Договору, а «Заказчик» обязуется принять оказанные услуги и оплатить их на условиях Договора.

Статья 2

Обязанности Сторон

2.1. «Исполнитель» обязуется:

2.1.1. обеспечить оказание услуг имеющимися силами и средствами, в порядке, утвержденном ЮЛПП «Единый национальный орган – Центр Аккредитации Грузии»

2.1.2. обеспечить оказание услуг своевременно, качественно и на профессиональном уровне.

2.1.3. обеспечить оказание услуг в сроки, предусмотренные Договором.

2.1.4. ни полностью ни частично не передавать третьим лицам предусмотренные данным Договором права и обязанности, без предварительного письменного согласия на то Заказчика.

2.2. «Заказчик» обязуется:

2.2.1. потребовать от Исполнителя оказание услуг качественно и в сроки, предусмотренные Договором.

2.2.2. с целью контроля качества, при необходимости присутствовать в процессе проведения анализов.

2.2.3. “შემსრულებელს” გადაუხადოს მომსახურების გაწევისათვის საფასური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ოდენობით.

2.2.3. произвести оплату «Исполнителю» за оказанные услуги в сроки и в объеме, предусмотренном Договором.

მუხლი 3

მომსახურების ღირებულება და გადახდის წესი

- 3.1. ერთჯერადი ლაბორატორიული მომსახურების ღირებულება მითითებულია №1 დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ღირებულებაში გათვალისწინებულია დღგ.
- 3.2. ყოველი ლაბორატორიული ანალიზის დასრულებისას მხარეებს შორის ფორმდება ლაბორატორიული ანგარიში, რომელ-საც ხელს აწერს ლაბორატორიის უფროსი.
- 3.3. მხარეებს შორის ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად შესრულებული ლაბორატორიული მომსახურების ანგარიშისა და “შემსრულებელს” მიერ ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.
- 3.4. ხელშეკრულების შესაბამისად ანგარიშსწორება ხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, საბანკო გადარიცხვით წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მხარეთა ანგარიშებზე, ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით.

მუხლი 4

ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა

- 4.1. მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს აუნაზღაურონ ზიანი, თუ ეს ზიანი გამოწვეულია წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევით.
- 4.2. “დამკვეთის” მხრიდან ხელშეკრულების პუნქტით განსაზღვრული პირობის დარღვევის შემთხვევაში, “დამკვეთი” “შემსრულებელს” უხდის საურავს გადასახდელი თანხის 0,5%-ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე, რაც არ უნდა აღემატებოდეს მთლიანი ღირებულების 15%-ს.

5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 5.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
- 5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლისა უცლილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით

Статья 3

Стоимость Услуги и Порядок Расчетов

- 3.1. Стоимость разовой лабораторной услуги, включая НДС, указана в Приложении №1 к Договору, являющимся неотъемлемой частью Договора.
- 3.2. При завершении каждого лабораторного анализа, между сторонами оформляется лабораторный отчет, который подписывается начальником лаборатории Исполнителя.
- 3.3. Оплата между сторонами за фактически выполненные лабораторные услуги производится в течение 15 (пятнадцать) банковских дней, с момента предоставления отчетов лабораторных услуг и Исполнителем счета-фактуры.
- 3.4. Оплата по Договору производится в национальной валюте лари банковским перечислением на счета сторон, указанные в настоящем Договоре по курсу национального Банка Грузии на день выписки счета-фактуры.

Статья 4

Обязательство по возмещению ущерба

- 4.1. Стороны обязаны возместить друг другу ущерб, нанесенный в случае нарушения условий настоящего Договора.
- 4.2. В случае нарушения Заказчиком условия, определенного в п. 3.3 договора, он уплачивает Исполнителю пеню в размере 0,5% от оплачиваемой суммы за каждый день просрочки, но не более 15% от общей стоимости фактически оказанных услуг.

5. Внесение изменений в Договор

- 5.1. Ни одна из сторон Договора не имеет право односторонне изменить условия Договора.
- 5.2. Если по непредвиденной заранее причине возникнет необходимость внесения изменений в условия Договора, инициатор внесения изменений должен предоставить необходимую информацию другой стороне в письменном виде.

შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

5.3. Любое изменение условий Договора должно быть оформлено в виде дополнительного соглашения к Договору, которое будет считаться неотъемлемой частью Договора.

6. ანტიკორუფციული დათქმა

6.1. წინამდებარე დათქმა ასახავს ხელშეკრულების მხარეების, მათი აფილირებული პირების, მუშაკთა და შუამავალთა ერთგულ დამოკიდებულებას ბიზნესის ღია და პატიოსნად მართვის პრინციპები-სადმი, მიმართულია მითითებული პირების კორუფციულ საქმიანობაში გარევის რისკების მინიმიზაციისკენ, ასევე ხელშეკრულების მხარეების საქმიანი რეპუტაციის მაღალი დონის შენარჩუნებისაკენ.

6.2. ხელშეკრულების მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი უძღვებიან ლეგიტიმურ სამეურნეო საქმიანობას და გააჩნიათ დაფინანსების მხოლოდ კანონიერი წყაროები.

6.3. ხელშეკრულების მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან, ასევე უზრუნველყონ, ხელშეკრულებით მოქმედი მათი აფილირებული პირების, მუშაკთა და შუამავალთა მიერ წინამდებარე დათქმის დაცვა და ასევე ხელი შეუწყონ ერთმანეთს მისი მოთხოვნების რეალური ან შესაძლო დარღვევების შემთხვევაში.

6.4. ხელშეკრულების მხარეები იღებენ ვალდებულებას არ ჩაიდინონ, ასევე უზრუნველყონ, რომ მათმა აფილირებულ-მა პირებმა, მუშაკებმა თუ შუამავლებმა, ხელშეკრულების შესრულების დროს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ ჩაიდინონ შემდეგი ქმედებები, კერძოდ:

6.4.1. ხელშეკრულებით მოქმედი მხარეების, მათი აფილირებული პირების, მუშაკთა თუ შუამავალთათვის ასარამართლობიერად უპირატესობის მიღების მიზნით, საჯარო ორგანოებზე, თანამდებობის პირებზე, მათ ახლო ნათესავებზე ან სახელმწიფო ორგანოებთან სხვაგვარად დაკავშირებულ პირებზე ფულადი სახსრების გადახდა, შეთავაზება ან სხვა ფასეულობების შეთავაზება, უსასყიდლოდ სამუშაოების (მომსახურება) შესრულება და ა.შ.

6. Антикоррупционная оговорка

6.1. Настоящая оговорка отражает приверженность Сторон Договора, их аффилированных лиц, работников и посредников принципам открытого и честного ведения бизнеса, направлена на минимизацию рисков вовлечения указанных лиц в коррупционную деятельность, а также на поддержание деловой репутации Сторон Договора на высоком уровне.

6.2. Стороны Договора подтверждают, что ведут легитимную хозяйственную деятельность и имеют только законные источники финансирования.

6.3. Стороны Договора обязуются соблюдать, а также обеспечивать соблюдение их аффилированными лицами, работниками и посредниками, действующими по Договору, настоящей оговорки, а также оказывать друг другу содействие в случае действительного или возможного нарушения ее требований.

6.4. Стороны Договора, обязуются не совершать, а также обязуются обеспечивать, чтобы их аффилированные лица, работники и посредники, не совершали прямо или косвенно следующих действий при исполнении Договора в частности:

6.4.1. Платить или предлагать уплатить денежные средства или предоставить иные ценности, безвозмездно выполнить работы (услуги) и т.д. публичным органам, должностным лицам, лицам, которые являются близкими родственниками должностных лиц публичных органов, лицам, иным образом связанным с государственными органами, в целях неправомерного получения преимуществ для Сторон Договора, их аффилированных лиц, работников или посредников, действующих по Договору.

6.4.2. მასტიმულირებელი მხარის სასარგებლოდ რაიმე ქმედებების (გაუმართლებელი უპირატესობის, რაიმე გარანტიების მიცემა, არსებული პროცედურების დანქარება და ა.შ.) შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მეორე მხარის მუშაკებზე თუ მის აფილირებულ პირებზე ფულადი სახსრების გადახდა, შეთავაზება ან სხვა ფასეულობების შეთავაზება, სამუშაოების (მომსახურება) უსასყიდლოდ შესრულება და ა.შ.

6.4.3. არ ჩაიდინონ მოქმედი ანტიკორუფციული კანონის დამრღვევი სხვა ქმედებები, რაც ასევე გულისხმობს კომერციულ მოსყიდვას და ბიზნესის მართვის სხვა კანონსაწინააღმდეგო და არამართლზომიერ საშუალებებს.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მხარეს გაუჩნდება ეჭვი მომხდარი ან შესაძლო დარღვევის შესახებ, შესაბამისი მხარე იღებს ვალდებულებას აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს წერილობით და აქვს უფლება შეაჩეროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მეორე მხრიდან წერილობითი დასტურის მიღებამდე იმის შესახებ, რომ დარღვევას ადგილი არ ჰქონია ან არ ექნება. დასტური უნდა გაიგზავნოს წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან ათი სამუშაო დღის განმავლობაში. მხარეები იღებენ ვალდებულებას ერთობლივად აწარმოონ წერილობითი და ზეპირი მოლაპარაკებები სადავო სიტუაციების დარეგულირების საკითხში.

6.6. ერთი მხარის მიერ წინამდებარე დათქმის დარღვევის მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, მეორე მხარეს აქვს უფლება ცალმხრივად გაწყვიტოს ხელშეკრულება და ამის შესახებ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

7. ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

7.2. ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილებადან მისი ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ 5 (ხუთი) დღით ადრე.

6.4.2. Платить или предлагать уплатить денежные средства или предоставить иные ценности, безвозмездно выполнять работы (услуги) и т.д. работникам другой Стороны, ее аффилированных лиц, с целью обеспечить совершение ими каких-либо действий в пользу стимулирующей Стороны (предоставить неоправданные преимущества, предоставить какие-либо гарантии, ускорить существующие процедуры и т.д.).

6.4.3. Не совершать иных действий, нарушающих действующее антикоррупционное законодательство, включая коммерческий подкуп и иные противозаконные и неправомерные средства ведения бизнеса.

6.5. В случае возникновения у Стороны Договора подозрений, что произошло или может произойти нарушение каких-либо положений оговорки, соответствующая Сторона обязуется уведомить другую Сторону в письменной форме и имеет право приостановить исполнение обязательств по Договору до получения подтверждения от другой Стороны, что нарушение не произошло или не произойдет. Подтверждение должно быть направлено в течение десяти рабочих дней с даты получения письменного уведомления. Стороны обязуются совместно вести письменные и устные переговоры по урегулированию спорной ситуации.

6.6. В случае наличия подтверждений (доказательств) нарушения одной Стороной настоящей оговорки другая Сторона имеет право расторгнуть Договор в одностороннем порядке, направив письменное уведомление о расторжении.

7. Прекращение Договора

7.1. В случае невыполнения одной из Сторон условий настоящего Договора, вторая Сторона может принять решение о полном прекращении действия всего Договора или его отдельных условий.

7.2. Сторона, принявшая такое решение, должна известить о нем другую Сторону, сообщить о причинах принятия такого решения и дату его вступления в силу. Указанное извещение должно быть передано второй Стороне минимум за 5 (пять) дней до его вступления в силу.

7.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისაგან.

7.4. ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

8.2. “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეების-თვის გადაულახავ და მათ კონტროლი-საგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „დამკვეთისა“ და/ან „შემსრულებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

8.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ იღებენ ვალდებულებას, რომ ყველა დონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოავგარებენ ნებისმიერ უთანხმოებას და დავას, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

9.2. თუ „დამკვეთი“ და „შემსრულებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შესახებ

7.3. Прекращение действия отдельных условий Договора не освобождает Стороны от выполнения остальных обязательств.

7.4. Расторжение Договора из-за нарушения условий Договора не освобождает сторон от ответственности за невыполнение Договора.

8. Форс-мажор

8.1. Приостановление действия всех или каких-либо отдельно взятых условий Договора из-за наступления форс-мажорных обстоятельств не будет рассматриваться как невыполнение условий Договора или их нарушение, и не повлечет за собой применения штрафных санкций.

8.2. «Форс-мажор» означает непреодолимые для сторон и не зависящие от их контроля обстоятельства, не связанные с ошибками и/или небрежностью Заказчика или Исполнителя и носящие непредвиденный характер.

8.3. В случае наступления форс-мажорных обстоятельств, Сторона Договора, для которой становится невозможным выполнение принятых обязательств, должна немедленно направить второй Стороне письменное уведомление о наступлении таких обстоятельств и о вызвавших их причинах. Если Сторона, направившая уведомление, не получит от второй Стороны письменного ответа, она по своему усмотрению, целесообразности и возможности продолжает выполнение принятых обязательств и старается изыскать альтернативные способы выполнения обязательств, не зависящих от воздействия форс-мажорных обстоятельств.

9. Решение спорных вопросов

9.1. Заказчик и Исполнитель принимают обязательство предпринять все меры для решения возникших разногласий и споров, связанных с вопросами настоящего Договора, путем переговоров.

9.2. В том случае, если Заказчик и Исполнитель не смогут прийти к соглашению

შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

по поводу спорного вопроса, любая Сторона Договора, с целью решения спора, имеет право в установленном порядке обратиться в суд Грузии.

10. გამოყენებული სამართალი

10.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

10.2. ის, რაც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. Применимое право

10.1. Договор заключен в соответствии с законодательством Грузии и будет интерпретирован согласно законодательству Грузии.

10.2. То, что не оговорено в настоящем Договоре, регулируется в соответствии с действующим законодательством Грузии.

11. ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის

11.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით, შესაძლებელია შეტყობინების ფაქსის გაგზავნის გზით იმ პირობით, რომ შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნის მეშვეობით.

11. Отношения между сторонами Договора

11.1. Все официальные отношения между сторонами Договора должны оформляться в письменном виде. Письменное уведомление, которое одна Сторона направляет другой Стороне, высылается в виде почтового отправления. С целью оперативности связи допускается направление второй Стороне уведомлений по электронной почте, телексом или факсом, при условии, что оригинал уведомления будет в дальнейшем направлен второй Стороне непосредственно путем почтового отправления на указанный адрес.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

12.2. ხელშეკრულება ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, ქართულ და რუსულ ენებზე, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა. ერთი ინახება „დამკვეთთან“, ხოლო მეორე „შემსრულებელთან“. ქართულ და რუსულ ენებზე შესრულებულ ტექსტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულ ენაზე შედგენილ ვარიანტს.

12. Заключительные положения

12.1. Настоящий Договор вступает в силу с даты его подписания обеими Сторонами и действует в течение 1 (одного) года.

12.2. Договор подписан в двух, имеющих одинаковую юридическую силу экземплярах, на русском и грузинском языках, один из которых хранится у Заказчика, а второй у Исполнителя. В случае возникновения разногласий в текстах, составленных на разных языках, привилегия отдается варианту, составленному на грузинском языке.

მუხლი 13

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

Статья 13

Юридические Адреса и Реквизиты Сторон

“შემსრულებელი”:
შპს “ბათუმის ნავთობტერმინალი”
ქ. ბათუმი, 6000, საქართველო
მაიაკოვსკის ქ. 4,
საიდენტიფიკაციო კოდი 245432544
სს “ხალიკ ბანკი საქართველო”
ცენტრალური ფილიალი,
ბანკის კოდი HABGGE22
ა/ა GE75HB0000000000103608

“Исполнитель”:
ООО «Батумский нефтяной терминал»
г. Батуми, 6000, Грузия,
ул. Маяковского №4
идентификационный код 245432544
АО «Halyk Bank Georgia»
центральный филиал,
код банка HABGGE22
р/с GE75HB0000000000103608

ფარხატ ტაშიბაევი
გენერალური დირექტორი

Фархат Ташибаев
Генеральный директор

2024 წლის მარტი № ხელშეკრულების №1 დანართი

Приложение №1 к Договору №55 от март 2024 г.

მომსახურებისა და ლაბორატორიული ანალიზების შესრულების ღირებულება /
Расценки услуг о проведении лабораторных анализов

№	ანალიზის დასახელება / Наименование анализа	ღირებულება დღგ-ს ჩათვლით / Стоимость с учетом НДС
1		

“შემსრულებელი”:
შპს “ბათუმის ნავთობტერმინალი”

“Исполнитель”:
ООО «Батумский нефтяной терминал»

ფარხატ ტაშიბაევი
გენერალური დირექტორი

Фархат Ташибаев
Генеральный директор